მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.13.02.001.053**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022961681 - 21/12/2022 13:19:21

მომზადების თარიღი
27/12/2022 18:28:14

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	დიღუბე		
01	**13**	**02**	**001/053**

მისამართი: ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N187

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

დაზუსტებული ფართობი: 920.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი: **01.13.02.001.050; 01.13.02.001.052;**

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 (სავაჭრო ცენტრი) საერთო ფართობით 1821.7 კვ.მ. (მათ შორის კომერციული ფართობი - 1238.8 კვ.მ., საზაფხულო ფართობი - 23.8 კვ.მ., სარდაფის ფართობი - 351.3 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი - 60.7 კვ.მ. და დამხმარე ფართობი - 147.1 კვ.მ.)

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882022094202 , თარიღი 09/02/2022 13:58:26
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 15/02/2022

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- შეთანხმების ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:17/06/2013 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ადმინისტრაციული დაპირება) NE-173-4-6732 , დამოწმების თარიღი:20/02/2013 , ქ.თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:14/04/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N2457 , დამოწმების თარიღი:31/03/2013 , ქ.თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო
- ბრძანება Nბ-10/01212213087-17 , დამოწმების თარიღი:05/10/2021 , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N140009249 , დამოწმების თარიღი:08/01/2014 ,ნოტარიუსი ე.ელიბერიძე
- უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:27/06/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:27/06/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:22/07/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:14/04/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს „ბელაჯიო" , ID ნომერი:412700625

მესაკუთრე:
შპს „ბელაჯიო"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882022961681 თარიღი 21/12/2022 13:19:21

მოიჯარე: შპს "ელიტ მოტორსი" 205258228;

საგანი:1821.7 კვ.მ. (მათ შორის კომერციული ფართობის - 1238.8 კვ.მ.,-იდან 546.20 კვ.მ.;
ვადა 5 (ხუთი) წელი;

იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი21/12/2022, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 27/12/2022

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

იჯარის ხელშეკრულება

წინამდებარე იჯარის ხელშეკრულება (შემდგომში _ ხელშეკრულება) დადებულია ქ. თბილისში 21.12.2022წ. შემდეგ მხარეთა შორის:
შპს ბელაჯიო (ს/ნ412700625) (შემდგომში ,,მეიჯარე") წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ხიდეშელის (პ/ნ62007000926) სახით და
შპს ელიტ მოტორსი (ს/კ 205258228) წარმოდგენილი მისი დირექტორის ზვიად ანთელიძის (პ/ნ01024026261) სახით (შემდგომში ,,მოიჯარე").

მეიჯარე და მოიჯარე ცალ-ცალკე მოხსენებულია "მხარედ" ან/და ერთობლივად – "მხარეებად"

პრეამბულა:
- წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებით, მხარეები ადასტურებენ ნებას და მზადყოფნას თანამშრომლობაზე, ქვემოთ მითითებული პირობებით;
- იმის გათვალისწინებით, რომ მეიჯარე თანახმაა გადასცეს მოიჯარეს იჯარის საგანი სარგებლობის უფლებით;
- იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის, მხარეები არ მიუთითებენ ისეთ გარემოებებზე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს, დააბრკოლოს ან/და შეუძლებელი გახადოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
- იმის გათვალისწინებით, რომ საიჯარ ქონებაზე, მოიჯარემ მეიჯარესთან შეთანხმებით ჩაატარა საიჯარო საგნის კაპიტალური რეკონსტრუქცია/რემონტი.

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი
1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე "მეიჯარე" გადასცემს, ხოლო "მოიჯარე" იღებს დროებით სარგებლობაში, იჯარის ფორმით, ხელშეკრულების მესამე მუხლში მითითებულ ქონებას (შემდგომში ,,საიჯარო ქონება"), ხოლო "მოიჯარე" ვალდებულია "მეიჯარეს" გადაუხადოს საიჯარო ქირა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.
1.2. „საიჯარო ქონების" გადაცემა განხორციელდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მუხლი 2. მეიჯარის უფლებამოსილება საიჯარო ქონებაზე
2.1 მეიჯარე აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ საკუთრების უფლება „საიჯარო ქონებაზე" ეკუთვნის მას და უფლებამოსილია დადოს წინამდებარე ხელშეკრულება;
2.2 მეიჯარის საკუთრების უფლება "საიჯარო ქონებაზე" დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან:
ა) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: **01.13.02.001.053** , განცხადების რეგისტრაციის ნომერი: **882022094202**, მომზადების თარიღი: **15/02/2022**;

მუხლი 3. საიჯარო ქონება
3.1 „საიჯარო ქონებას" წარმოადგენს:
ა) ქალაქი თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქ. N187-ში (საკადასტრო კოდით: 01.13.02.001.053) მდებარე 1821.7 კვ.მ კომერციული ფართის ნაწილი 546.20 კვ.მ.
3.2 საიჯარო ქონებაში აგრეთვე გათვალისწინებულია ფართის მიმდებარე ტერიტორიაზე საპარკინგე და აგრეთვე სარეკლამო აბრის ადგილი.

მუხლი 4. საიჯარო ქირის ოდენობა და გადახდის წესი
4.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად 01.03.2023 წლიდან 31.12.2023 წლის ჩათვლითსაიჯარო ქირა შეადგენს 9 000.00 (ცხრა ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტა ლარში (დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე რომლის ანგარიშწორება იწარმოებს გადახდის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი აშშ დოლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.
4.2. 01.01.2024 წლიდან საიჯარო ქირა შეადგენს 9500.00 (ცხრა ათას ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტსეროვნულ ვალუტა ლარში (დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე), რომლის გადახდა იწარმოებს გადახდის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი აშშ დოლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.
4.3. საიჯარო ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად, საანგარიშო თვის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) რიცხვისა.

4.4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მეიჯარის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
4.5. მხარეები თანხმდებიან, რომ "საიჯარო ქონებით" სარგებლობასთან დაკავშირებული კომუნალური (ელ. ენერგიის, წყლისა და ინტერნეტის) გადასახადების გადახდას მოახდენს „მოიჯარე".
4.6. მოიჯარეს საიჯარო ქონება გადაეცემა ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად.
4.7. მეიჯარე ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვის დააფიქსიროს და მოიჯარეს წარუდგინოს საიჯარო ქონებაზე კომუნალური გადასახადების მაჩვენებლები, კერძოდ ელ. ენერგიის, წყლისა და ინტერნეტის მაჩვენებელი.
4.9. საიჯარო ქონებით სარგებლობის არასრული თვის შემთხვევაში გადასახდელი საიჯარო ქირა განისაზღვრება დღეების პროპორციულად.
4.10. მოიჯარე ვალებულია გადაიხადოს პირველი და ბოლო თვის საიჯარო ქირა წინასწარ არაუგვიანეს 2023 წლის 01 მარტისა.
4.11. თუ გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის მიმართ აშშ დოლარის გაცვლითი ოფიციალური კურსი იქნება 3.3 (სამი მთელი სამი მეათედი) მაჩვენებელზე მეტი, ასეთ შემთხვევაში მოიჯარე მეიჯარეს უხდის საიჯარო ქირას 3.3 (სამი მთელი სამი მეათედი) კურსის შესაბამისად.
4.12. თუ გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის მიმართ აშშ დოლარის გაცვლითი ოფიციალური კურსი იქნება 2.4 (ორი მთელი ოთხი მეათედი) მაჩვენებელზე ნაკლები, ასეთ შემთხვევაში მოიჯარე მეიჯარეს უხდის საიჯარო ქირას 2.4 (ორი მთელი ოთხი მეათედი) კურსის შესაბამისად. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული გაცვლითი კურსის 6 თვეზე მეტი ვადით შენარჩუნების შემთხვევაში მხარეები იღებენ ვალდებულებას მოახდინონ არსებული საიჯარო ქირის ცვლილება და მისადაგება იმ მომენტისათვის არსებულ რეალობასთან.
4.13. მოიჯარე ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გადაიხადოს 2 000.00 (ორი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტა ლარში ბე-ს სახით, რომლის გაქვითვა განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 4.10 მუხლით გათვალისწინებული პირველი თვის საიჯარო ქირაში.
4.14. "საიჯარო ქირა" არ ექვემდებარება ცვლილებას ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში "მოიჯარის" მიერ ჩატარებული მიმდინარე სარემონტო თუ გადაკეთება-განახლების სამუშაოების მიუხედავად.

მუხლი 5. „საიჯარო ქონების" გადაცემა
5.1. ,,მეიჯარის" მიერ „მოიჯარისათვის" ,,საიჯარო ქონების" ფაქტობრივად გადაცემა, ხოლო საიჯარო ურთიერთობის დასრულებისას „მოიჯარის" მიერ „მეიჯარისათვის" „საიჯარო ქონების" დაბრუნება ხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.
5.2. მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების კომუნალური გადასახადების გადახდა იწარმოებს მეიჯარის მიერ გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით.
5.3. მეიჯარე პასუხისმგებლობას იღებს წინა მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში წარმოქმნილი, მათ შორის მოიჯარისთვის დაგვიანებით მიწოდებული ინფორმაციით მიყენებული ზიანი აანაზღაუროს თავად.

მუხლი 6. მხარეთა გარანტიები და ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები
6.1. მეიჯარე იძლევა გარანტიას, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვის მას არა აქვს დადებული სხვა ხელშეკრულება და შეთანხმება, არ აქვს ნაკისრი ისეთი ვალდებულება, რამაც შეიძლება შეაფერხოს, შეაჩეროს ან შეუძლებელი გახადოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულება.
6.2. მეიჯარე ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვის იგი არ არის სასამართლო, საარბიტრაჟო თუ ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე, საქმეზე, რაც დაკავშირებულია "საიჯარო ქონებასთან".
6.3. მეიჯარე პასუხს აგებს ყველა ვალდებულებაზე, რაც დაკავშირებულია შენობა/ნაგებობის (საიჯარო ქონების) კაპიტალური რემონტისთვის გასაცემ ყველა საჭირო ნებართვებზე.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები
7.1. ,,მეიჯარე" იღებს ვალდებულებას:
- დროულად გადასცეს „მოიჯარეს" ,,საიჯარო ქონება";
- უზრუნველყოს ,,საიჯარო ქონებაზე" სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების ნებართვების მოპოვება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში);
- არ ჩაერიოს მოიჯარის საქმიანობაში და უზრუნველყოს მის მიერ საიჯარო ქონებით შეუფერხებელი სარგებლობა;

- თუ ,,საიჯარო ქონებას“ აღმოაჩნდება ნაკლი ან წინასწარ გაუთვალისწინებელი საფრთხისაგან საგნის დასაცავად საჭირო იქნება აუცილებელი ზომების მიღება ან მესამე პირი პრეტენზიას განაცხადებს ,,საიჯარო ქონებაზე“, ,,მეიჯარე“ ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ,,მოიჯარეს” და თავისი ძალითა და სახსრებით აღმოფხვრას დამაბრკოლებელი გარემოებები, რაც ხელს შეუშლის ,,მოიჯარეს” ,,საიჯარო ქონებით“ სარგებლობაში.
- საიჯარო ქონების ნაკლი, რომელიც არ აცნობა მოიჯარეს ან მოიჯარის ბრალისგან დამოუკიდებლად წარმოშობილი გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის საიჯარო ქონების გამოყენებას, აღკვეთოს იმდენად სწრაფად, რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლევა ფაქტობრივი გარემოებები ან აუნაზღაუროს მოიჯარეს ამ ნაკლის გამოსწორებაზე გაწეული ხარჯები.
- საკუთარი ხარჯით მოაწესრიგოს და აღმოფხვრას დაზიანება იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო ქონებას არ მიეწოდა კომუნალური და კავშირგაბმულობის სერვისები (ელექტროენერგია, წყალი).

7.2. ,,მეიჯარე“ უფლებამოსილია:
- მოითხოვოს “მოიჯარისგან” ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრული, განუხრელი დაცვა და ჯეროვნად შესრულება;
- თუ ,,მოიჯარე” იჯარის ურთიერთობის დამთავრების შემდეგ არ აბრუნებს ,,საიჯარო ქონებას“ მოითხოვოს დაყოვნების განმავლობაში დადგენილი საიჯარო ქირის გადახდა, როგორც ზიანის ანაზღაურება.
- საიჯარო ქირის გადახდის ვადაგადაცილების შემთხვევაში მოითხოვის პირგასამტეხლოს სახით 0.1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
- მოიჯარის თანხმობის გარეშე განკარგოს საიჯარო ფართი, მათ შორის გაასხვისოს ან იპოთეკით დატვირთოს ნებისმიერი მესამე პირის სასარგებლოდ. მესაკუთრის ცვლილება არ წარმოადგენს ამ ხელშეკრულების ცვლილებებისა და / ან მისი შეწყვეტის საფუძველს და ახალ მესაკუთრეზე სამოქალაქო კოდექსის 572-ე მუხლის შესაბამისად გადადის მეიჯარის ყველა ის უფლება და ვალდებულება, რომელიც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით ან გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.

7.3. “მოიჯარე” იღებს ვალდებულებას:
- წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით მოახდინოს ,,საიჯარო ქირის“ გადახდა;
- მოუაროს იჯარით აღებულ ნივთს და დაიცვას უსაფრთხოების წესები;
- ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში დაცალოს ,,საიჯარო ქონება“ საკუთარი ინვენტარისგან, იგულისხმება, რომ აღნიშნულ პერიოდში საიჯარო ქირის დარიცხვა არ შეწყდება და დაანგარიშდება შეწყვეტის თარიღის შემდგომ „საიჯარო ქონებით“ ფაქტობრივად სარგებლობის დღეების რაოდენობის პროპორციულად.
- გაუფრთხილდეს იჯარის საგანს და უზრუნველყოს მისი ჯეროვანი მოვლა-პატრონობა, გათბობა-კონდინცირების სისტემის სწორი ექსპლუატაცია, იქონიოს იჯარის საგანი სრულ წესრიგში და გამართულ მდგომარეობაში, სანიტარულ-ტექნიკურ და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმებთან შესაბამისობაში, ტექნიკური ექსპლუატაციისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვით, ასევე დაიცვას მოწყობილობების და ინვენტარის, საინჟინრო კომუნიკაციებისა და ქსელების ექსპლუატაციის წესები და საიჯარო ფართში არსებული ქონება დაზიანებისა და განადგურებისაგან;
- შეაკეთოს, აღადგინოს, ან აუნაზღაუროს "მეიჯარეს" ზიანი/ზარალი საიჯარო ფართის და/ან მასში განთავსებული კუთვნილი მატერიალური ფასეულობების - დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში. აღნიშნული მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება საიჯარო საგნის მართლზომიერი სარგებლობისა და ასეთი გამოყენების შედეგად წარმოქმნილი ცვეთის შემთხვევაში.გაიღოს წინამდებარე ხელშეკრულების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის საფასური;

7.4. „მოიჯარე“:
- უფლებამოსილია მოსთხოვოს მეიჯარეს ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და გარანტიების კეთილსინდისიერად შესრულება;
- უფლებამოსილია იჯარით აღებულ ობიექტზე განათავსოს ან/და დაამონტაჟოს თავისი საქმიანობისთვის საჭირო მოწყობილობები, დანადგარები და ინვენტარი, ხოლო მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ ანდა შეწყვეტისას თან წაიღოს იჯარის საგანზე მის მიერ დამონტაჟებული, შეტანილი ნებისმიერი მოწყობილობა, დანადგარი, ავეჯი და სხვა ნივთები რომელთა მოხსნაც შესაძლებელია. აღნიშნული შემთხვევაში მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს მოწყობილობა–დანადგარების, ნივთების გატანა იჯარის საგნის დაზიანების გარეშე. ხოლო დაზიანებების შემთხვევაში საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას აღნიშნული დაზიანებები.

- პასუხს არ აგებს საიჯარო ქონების ისეთი ცვლილების ან გაუარესებისათვის, რაც გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მართლზომიერი სარგებლობით.
- არ გასცეს იჯარით აღებული ობიექტი ქვეიჯარით მეიჯარის თანხმობის გარეშე.
- განახორციელოს ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 8. კონფიდენციალურობა

8.1. თითოეულმა მხარემ თავი უნდა შეიკავოს და უნდა უზრუნველყოს თავიანთი თანამშრომლების წარმომადგენლების, აგენტების, თანამდებობის პირებისა და დირექტორების მხრიდან გონივრული კონფიდენციალურობის დაცვა წინამდებარე ხელშეკრულებისა და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაციის მიმართ.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, პირობების შეცვლა და/ან გაუქმება

9.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და მოქმედებს 5 წლის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ თუ მხარეები არ გამოთქვამენ ურთიერთობის შეწყვეტის სურვილს, რომელიც უნდა დაფიქსირდეს წერილობით ვადის გასვლამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე, წინამდებარე ხელშეკრულება გაგრძელდება იმავე ვადითა და პირობებით მომდევნო 5 წლის განმავლობაში, რომლის დაფიქსირებაც მოხდება საჯარო რეესტრში ვადის გაგრძელების შეთანხმების რეგისტრაციით.

9.2. წინა მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების რეგისტრაციას მხარეები ახდენენ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

9.3. ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეების მიერ მხოლოდ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე;

9.4. ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდან.

9.5. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ:

- მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით;
- ხელშეკრულების ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტა დასაშვებია ერთ-ერთი მხარის მიერ, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არღვევს ხელშეკრულების პირობებს და გაფრთხილების მიუხედავად გონივრულ ვადაში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
- მხარე, რომელიც დაარღვევს ხელშეკრულებით მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია სრული მოცულობით აუნაზღაუროს მეორე მხარეს მიყენებული ზიანი.
- თუ მოიჯარის მიერ ერთი წლის განმავლობაში ორჯერ არ იქნება გადახდილი საიჯარო ქირა და არ მოხდება დავალიანების გადახდა მეიჯარის მოთხოვნის საფუძველზე, ასეთ შემთხვევაში მეიჯარე უფლებამოსილია მოსთხოვოს მოიჯარეს საიჯარო ქონების დატოვება.
- საიჯარო ურთიერთობების ძალაში შესვლის თარიღიდან 12 (თორმეტი) თვის გასვლის შემდეგ, ერთი მხარის მიერ, მეორე მხარისათვის არანაკლებ 3 (სამი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით.
- ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში ხელშეკრულების მოშლის ინიციატორი მხარე ვალდებული იქნება დამატებითად გადაიხადოს 3 თვის საიჯარო ქირა.

მუხლი 10 მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება აანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუ კი ეს გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო;

11.2. დაუძლეველი ძალა ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც არ არსებობდნენ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, წარმოიშვნენ მხარეთა ნების გარეშე და რომელთა დადგომის და მოქმედების კონტროლი აღემატება მხარეთა გონივრულ კონტროლს;

13.3. მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ვალდებულებებს დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს. თუ ასეთი შეტყობინება არ იქნება გაკეთებული 7 დღის ვადაში, დამრღვევ მხარეს უფლება არა აქვს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მიზნით მიუთითოს ასეთ გარემოებებს, თუ კი შეტყობინების გაუგზავნელობა არ იყო გამოწვეული ამ გარემოებებით;

მუხლი 12. შეტყობინებები

12.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა აუცილებელი შეტყობინება დაკავშირებული წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებასთან გაგზავნილი იქნება ელექტრონული წერილით ან ფოსტის მეშვეობით.

მუხლი 13. დავათა განხილვა

13.1. მხარეები კისრულებენ ვალდებულებას ურთიერთშეთანხმების გზით მოაგვარონ ყოველგვარი სადაო საკითხი წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან;

13.2. თუ დავის გადაჭრა არ მოხერხდება ურთიერთშეთანხმების გზით დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს.

13.3. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ქართული კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება საჯარო რეესტრში, ხოლო ორი - მხარეებთან და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა;

14.2. მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილად იქნება ცნობილი, აღნიშნული არ მოახდენს არანაირ გავლენას ხელშეკრულების სხვა მუხლების ან მთლიანობაში შესრულების ბათილობაზე;

14.3. იურიდიული მისამართის ან მომსახურე ბანკის რეკვიზიტების შეცვლის შემთვევაში, მხარეები ვალდებული არიან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში შეატყობინონ ერთმანეთს ამის შესახებ;

14.4. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და ისეთ შემთხვევებში, რომელიც არაა გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოში მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობით.

მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

_ მოიჯარე _
შპს ელიტ მოტორსი (ს/ნ 205258228)
პროკრედიტ ბანკი MIBGGE22 GE71PC0133600100065493

დირექტორი
ზვიად ანთელიძე (პ/ნ01024026261)

_ მეიჯარე _
შპს ბელაჯიო (ს/ნ412700625)
თიბისი ბანკი TBCBGE22 GE19TB7022145067800002

დირექტორი
დავით ხიდეშელი (პ/ნ62007000926)